# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 17

2018 წ. "20" 03

ქ.თბილისი

**„სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4-ე გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სასტუმრო საქმის სპეციალისტი (1)[1] | მეოთხე | სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112064 | 82 | 112 | ქართული | 40 | ქ. გორი, ბესიკის ქ. N 2 |
| 2. | სარეკლამო აგენტი (1) | მეოთხე | სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020253 | 95 | 125 | ქართული | 25 | ქ. გორი, ბესიკის ქ. N 2 |
| 3. | პრაქტიკოსი ექთანი (1) | მეხუთე | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552 | 134 | 164 | ქართული | 50 | ქ. გორი, ბესიკის ქ. N 2 |
| 4. | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1) | მეხუთე | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161 | 121 | 151 | ქართული | 30 | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. N 124 |
| 5. | ვებპროგრამისტი (1) | მეხუთე | ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 115 | 145 | ქართული | 30 | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. N 124 |

[1] (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 040167 | | | | | |
| 6. | ბიბლიოთეკარი (1) | მეოთხე | ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070852 | 94 | 124 | ქართული | 30 | ქ. გორი, ზესიკის ქ. N 2 |
| 7. | ღონისძიების მენეჯერი (1) | მეხუთე | ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020367 | 126 | 156 | ქართული | 40 | ქ. გორი, ზესიკის ქ. N 2 |
| 8. | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1) | მეხუთე | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 111 | 141 | ქართული | 50 | ქ. გორი, ზესიკის ქ. N 2 |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №03 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი